# იმერეთი

ფასი: წლიურათ 7 მ., ნახევარი წლით 4 მ., თვიურათ 3 აბ. ცალკე ნომერი ერთი შაური.
წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მანეთი დანარჩენი კიდევ ნაწილ-ნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 15 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ. 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ სალამოს 2 საათამდე ღირს 3 მ. 2 საათის შემდეგ 4 მანათი.

კვირა 31 აგვისტო

მისამართი: ქუთაისი, რედაქცია გაზ. „იმერეთი“
[illegible] ქუჩა, [illegible] ქარ-[illegible] მახლობლად. სახლი [illegible].
ტელეფონი № 4.

№ 142 — ყოველდღიური გაზეთი — წელიწადი მესამე 1914 — № 142


ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## — „იმერეთი“ —

ახალის რედაქციით და თანამშრომლებით.

ხელის მოწერა მიიღება 1914 წლისათვის

**გაზეთის ფასი:**

| | |
|---|---|
| ერთი წლით | 7 მანეთი. |
| ნახევარი წლით | 4 მანეთი. |
| ერთი თვით | 4 აბაზი. |
| და ცალკე ნუმრის | 1 შაური. |

წლიური დასაკვეთი გაზეთის ფასის გადახდა ნაწილ-ნაწილათაც შეიძლება ამ სახით: ხელის მოწერის დროს—სამი მანეთი, პირველ მაისს—ორი მანეთი და პირველ ეკენისთვესაც—ორი მანეთი. საზღვარგარეთ გაზეთი წლიურათ ღირს 15 მ. 1/2 წ.—8 მ., თვიურათ 6 აბაზი.

სოფლის მასწავლებლებსა და სოფლის უფასო წიგნსაცავ-სამკითხველოებს გაზეთის ეთმობათ წლიურათ 6 მ., ნახევარი წლით 3 მანეთად და თვიურათ 3 აბაზეთ.

**ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით** редакція „ИМЕРЕТИ“

რედაქცია უმორჩილესათ სთხოვს თავის კორესპონდენტებს კორესპონდენციები სწერონ ქაღალდის ცალ გვერდზე, გარკვევით და გაურკვევლად ნაწერი წერილები განუხილავი დარჩება. წვრილმან წერილების გამო რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არა კისრულობს.

---

ღრმად დამწუხრებულნი კესარია სათირიშვილის ასული სანადირაძისა, გვრიტია ნიჟარაძის ასული სანადირაძისა, ეფრემ, ვერა, მიშა, მარუსია, ნადია და ვარდაფინა სანადირაძეები მწუხარებით აუწყებენ ნაცნობებს და ნათესავებს ბოროტ-გამძრახველთა მიერ ტრაგიკულ სიკვდილს: პირველი უსაყვარლესი შვილისა, მეორე ძვირფასი მეუღლისა, მესამენი უსაყვარლესი ძმისა, ხოლო მეოთხენი დაუვიწყარი მამისა გუბერნსკის სეკრეტარი აზ.

**პარმენ მიხეილის ძის სანადირაძისას,**

ცხედრის გამოსვენება მოხდება ამა თვის 31, დღით კვირას, ნაშუადღევის 4 საათზე—სოფელ ვანში საკუთარ სახლში.

---

სამშაბათს, 2-ს ენკენისთვეს, წლის თავზე დღიდან გარდაცვალებისა

**ნატალია დავითის ასულის ჟორდანიასი**

გარდახდილ იქნება წირვა და წირვის შემდეგ პანაშვიდი მიცვალებულის სულის მოსახსენებლათ, საფიჩხიის წმ. ამაღლების ეკკლესიაში, რასაც მეუღლე მისი იასონ ისიდორეს ძე ჟორდანია, მამა თავადი დავით ოტიას ძე ნიჟარაძე, დედა მარიამ ირაკლის ასული ნიჟარაძისა და ძმა ჯუმბერი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ. წირვა დაიწყება დილის ათს საათზე.

---

სპეციალური წიგნის მაღაზია და წიგნის საწყობი

ქ. ქუთაისში

**კოსტანტინე ივანეს ძის ოცხელისა** და ამხ.

დამზადებულია დიდ-ძალი სახელმძღვანელო და საკითხავი წიგნები საშუალო და დაბალ სასწავლებელთათვის. პროვინციის წიგნის მაღაზიებსა, სახალხო შკოლებსა, ბიბლიოთეკებსა და სამკითხველოებს.

წიგნის მაღაზიის გვერდით გამართულია სპეციალური საკანცელარიო მაღაზია **დ. ი. ოცხელისა**, რომელსაც მიღებული აქვს საქონელი პირდაპირ რუსეთისა და საზღვარგარეთის გამოჩენილ ფირმებისგან და ამიტომ ყოველგვარი სასწავლო და საკანცელარიო ნივთი ამ მაღაზიაში იყიდება **ძლიერ იაფათ.** აქვე გახსნილია რვეულების საკეთებელი საკუთარი სახელოსნო, რის გამოც მაღაზიას შეუძლია რვეულები იქონიოს უკლებლივ და გაყიდოს ზომიერ ფასათ.

---

ქუთაისში.

**თ. ა. მთავრიშვილისა** და ამხ

წიგნისა და საკანცელარიო ნივთების

**მაღაზია**

აუწყებს პატივცემულ საზოგადოებას, რომ

**მომავალი წლისათვის**

მას დამზადებული აქვს დიდძალი სახელმძღვანელო ქუთაის გუბერნიის საშუალო და დასაწყისს სასწავლებელში სახმარი, აგრეთვე საკითხავი წიგნები, რუსეთისა და კავკასიაში გამოცემული.

აქვე იყიდება ყოველგვარი საკანცელარიო ნივთები: რვეულები საუკეთესო ღირსების ქაღალდისა (თ-დ ზასკევიჩის ფაბრიკისა), კარანდაშები, კალმები, კალმის ტარები, სხვადასხვა ღირსების ფოსტისა და საწერი ქაღალდი და სხვა მრავალი საკანცელარიო ნივთი.

**ბითუმად მყიდველს ფასი დაეთმობა მორიგებით.**

---

## მიხეილის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკი

**გამგეობა** ქუთაისს, წინაამდეგ გავრცელებული ხმებისა **აუწყებს ბანკის მსესხებლებს,** რომ, თუ ხვედრი გადასახადი არ იქნა შემოტანილი დანიშნულ ვადაზე, **დაგირავებული მამულები,** თანახმათ ბანკის წესდების მუხლებისა მიუხედავათ თანამედროვე მდგომარეობისა, **საჯარო ვაჭრობით გაყიდული იქნება.**

---

მინადორა დუნდუას

ქალთა პროფესიონალური სასწავლებელი,

## გადავიდა

**ბალახვანის ქუჩაზე, იოსებ ბაქრაძის სახლებში.** ბავშების მიღება დაიწყება 25 აგვისტოდან. წელს იხსნება 4-ხე კლასი. აქვე არის გახსნილი საანბანო განყოფილებაც. ნახვა შეიძლება მოსალაპარაკებლათ დილის 9 სათ.—2 საათ.

---

ექიმის იკ. ბოკერიას

## საავათმყოფო

გადავიდა ახალ ბინაზე წითელ ხიდთან, მიხეილის ქუჩაზე, კლუბის პირდაპირ. დასაწოლ ავათმყოფებს ღებულობენ ყოველ დროს.

---

**ექიმი** გ. დ. **ნასარიძე** დაბრუნდა და ავათმყოფების მიღება განაახლა (შინაგანი, ბავშების და ნერვების სნეულებანი) დილით 9—2 საათამდე და საღამოთი 5—7 საათამდე თფილისის ქუჩაზე, ეზიკოვის სახლში (ქალაქის პირველ აფთიაქის პირდაპირ).

---

**დოკტორი** მედიცინისა, პრივატ-დოცენტი გ. პ. **მოსეშვილი** ჩამოვიდა და ღებულობს შინაგან და ნერვების ავათმყოფებით სნეულებს დილის 8 ს.—12 ს., ნაშუადღევის 5 ს.—8 საათამდი.

გოსპიტლის ქუჩა, მოსეშვილის სახლი № 6.

---

ქ. ქუთაისში

კბილის ექიმი

**ს. ა. ცეიტლინი.**

კბილის და პირის ავათმყოფობა. ხელოვნური კბილების გაკეთება.

მიიღებს ყოველდღე დილ. 9—2 საათ. და 4—7 საათ. საღ. ბალახვანის ქუჩა. სახაზინო პალატის გვერდით.

ტელეფონი 153.

---

**ექიმი** ი. **ჩარექოვი** ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე დილით 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახლში.

---

**ექიმი** მ. დ. **ბეთანოვი** იღებს კანისა, ვენერიული, და სქესობრივი უძლურებით ავადმყოფთ დილის 9—12 ს., საღამოს 5—8 ს. აფთიაქის ქუჩა № 24 საკუთ. სახლი.

---

ვ. უნივერსიტეტის მედიცინის

**ექიმი** ვ. ი. **კაკიტელაშვილი** საზღვარგარეთიდან დაბრუნდა და განაახლა (შინაგანი, ქალთა და საშარდე სნეულებიანი) ავათმყოფების მიღება. საგარდე მილისა და ბუშტის ელექტრონით შანათება (ცისტოსკოპით) ათაშანგის წამლობა 606—914, განსაკუთრებული ელექტრონის სინათლით სამკურნალო კაბინეტი. ელექტრონის აბაზანები. მიღება დილის 9—12 საათ. და საღ. 5—7 საათ.

**მისამართი:** ქარვასლისა და პუშკინის ქუჩის კუთხე, პუშკინის ფოტოგრაფიის პირდაპირ.

---

**ელექტრონის და სინათლის სამკურნალო კაბინეტი**

**ექიმის გაბრიელ იოსების ძის გოკიელისა** შინაგანი, ნერვების და ვენერიული ავათმყოფთათვის. ავადმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქუჩა, საკუთარი სახლი.

---

**სამოსწავლო მთავრობის ნებართვით**

ამა წლის 1-ლ ეკენისთვიდან ვხსნი ვაგზლის ქუჩაზე, საკუთარ სახლში,

**მე-3 ხარისხ-ს მოსამზადებელ სასწავლებელს**

ორივე სქესის ბავშთათვის, რომელსაც მიზნათ ექნება ბავშების მომზადება გიმნაზიების შესასვლელად მეორე კლასამდი.

ბავშების მიღება დაიწყება 20 აგვისტ.

ნინო მათეს ასული ხოშტარიასი.

---

**ექიმი** გრიგოლ ალშიბაია უკვე დაბრუნდა და განაგრძობს ავათმყოფების მიღებას ძველ ბინაზე.

---

### დღევანდელი სეირნობის გამო.

ვინ არ იცის რომ ომი უბედურებაა და არა ბედნიერება? ვინ არ იცის, რომ ომი საზარელია და თანაც გამანადგურებელი? ვის არ ესმის, რომ დღევანდელ პირობებში კაცობრიობას უჭირს ომის ატანა, ეძნელება სისხლის ღვრა, ქონების ხარჯვა, დროს დაკარგვა, წესიერების დარღვევა?... მაგრამ ომი მაინც არის და ამიტომაც დღეს ბრძოლის ველზე სისხლი უწყალოთ იქცევა.

საცოდავია ყოველი მომაკვდავი, საცოდავია ყველა, ვისაც სიცოცხლე უწყდება, მაგრამ მეტი საცოდავი და დასანანებელია ის საღი ჯანისა და გონების ადამიანი, რომელსაც ტყვია ომის ველზე უეცრათ სპობს და უბედური ორი სიტყვის დაბარებასაც ველარ ასწრებს.

ჩვენ აქა ვართ და ოთხი ათასი ვერსის იქით ჩვენი თანამოძმის სისხლი ილვრება, ჩვენ გვრძნობთ ამ სიმწარეს, განვიცდით ღრმა მწუხარებას და მეტი რაღა დაგვრჩენია გრძნობით უერთდებით მათ, გამარჯვებას ვუსურვებთ და ზნეობრივათ ხელს ვუწყობთ. საერთოა ის საქმე, რასაც ჩვენი თანამემამულენი თავს აკლავენ. ძვირფასია ის მიზანი, რომელსაც ეწირება მათი სული და ხორცი. განსაცდელში ყველა ომის ველზე მყოფი და მათი ანდერძი ჩვენდამი ისაა, რომ ჩვენ უპატრონოთ მათ ცოლშვილს, მათ უძლურ მშობლებს. ჩვენ უნდა მივსცეთ მათ ოჯახს ნუგეში, რომ ეს საოცარი განსაცდელი ავატანიოთ და ომში წასული მოქალაქის ოჯახი არ მოისპოს, არ განადგურდეს. ჩვენ უნდა დავიცვათ მათი კერა და არ გავაქროთ მათ ქოხში იმედის მომცემი ნაპერწკალი. ჩვენ ვართ პატრონი უპატრონოთ დატოვებული ოჯახებისა. ამას მოითხოვს სპეტაკი სინიდისი და სოციალური აუცილებლობა. ომობს ერთი ნაწილი, მაგრამ სიმძიმესა გრძნობს მთელი სახელმწიფო, სისხლსა ღვრის ერთი თაობა, მაგრამ ტკივილს განიცდის მთელი ერი. ასეთია სულიერი განწყობილება შეგნებული კაცობრიობისა.

ქველმოქმედება ყოველთვის კარგია და ამ გარემოებაში მაინც სწორეთ ადამიანის შემამკობელი თვისებაა, დღევანდელი სეირნობა სულ სხვა სეირნობაა. დღეს ჩვეულებრივი მხიარულების დრო არაა, გასართობათ არავინ გვეპატიჟება. დღევანდელმა სეირნობამ ერთად უნდა მოაგროვოს საზოგადოების შეგნებული წევრები, რომ ყველამ თავისი წვლილი შეიტანოს იმ სამოწყალო თანხაში, რომელიც დაურიგდება ომში გაწვეულ მეომართა ოჯახებს. დიდი იმედია ყველასათვის საზოგადოების თანაგრძნობა; ჩვენი ზნეობრივი მონაწილეობით და ნივთიერი დახმარებით ჩვენ ვანუგეშებთ უპატრონოთ დარჩენილ ოჯახებს და ეს ზნეობრივათ დააკმაყოფილებს ჩვენს ომის ველზე გადახვეწილ თანამემამულეთ, რომელნიც ემსახურებიან სამშობლოს კეთილდღეობას და სიცოცხლესა სწირავენ საერთო ინტერესებს. განვინაწილოთ მწარე ხვედრი ჩვენი მებრძოლი ძმებისა და დავამტკიცოთ, რომ ჩვენ გვაერთებს გრძნობა, გონება და სინიდისი.

სრული იმედი აქვს მზრუნველ კომიტეტს, რომ როგორც სხვა დროს ისე დღესაც ჩვენი საზოგადოება გულშემატკივრობას გამოიჩენს და საქველმოქმედო სეირნობას ხელს შეუწყობს.

ტრიფონ ჯაფარიძე.

# სრულიად ევროპის ომი

## დეპეშები

პეტ. დეპ. სააგენტოსაგან.

**პეტროგრადი.** ოფიციალური. უმაღლესს მთავარ სარდლის შტაბიდან. 28 აგვისტო. ავსტრიელების კრაკოვის ჯარებთან ბრძოლაში თანდათან ვიმარჯვებთ. ტომაშოვისა და რუსის რავიდან დაწყებული მდინარე დნესტრამდი მედგარი ბრძოლა სწარმოებს. დასავლეთიდან გადმოყვანილი ჯარი გროვდება მდინარე ალლეზე, აღმოსავლეთ პრუსიაში. 27 აგვისტოს დაიწყო მათი მოხტომა. ამასთანავე მტრის თვალსაჩინო რაზმებმა მაზურის ტბების გზით გასწიეს იმ ჩვენ მოწინავე ჯარებისაკენ, რომლებიც იკავებენ რა მტერს, აღმოსავლეთისაკენ მიემართებოდენ.

**ლონდონი.** 28 აგვისტო. კოლომბიდან „ტაიმს“ დეპეშით ატყობინებენ, რომ ჩაის მთესველებმა გადასწყვიტეს რუსეთის ჯარს შესთავაზონ 30,000 რუბათ ღირებული ჩაი. ამდენივე თანხა გადასდეს უელსის პრინცის სახელობის სამხედრო ფონდისათვის. ოსტენდედან იუწყებიან, რომ გერმანიის ულანებს გაცხარებული ბრძოლა აქვთ ბელგიის ჟანდარმებსა და ველოსიპედისტებთან. ხელჩართული ბრძოლა მოხდა დეინზეს სადგურთან, გეინტის სამხრეთით. გერმანელები უკუგდებულ იქნენ. მათ მოუკლეს ხუთმეტი ჯარისკაცი. აფიცრები კი თითონვე ჩაუვარდენ ტყვეთ.

**სალონიკი.** 28 აგვისტო. აქ მოვიდა ინგლისის გემი მეორე რანგისა „ხუსსარი“ და 27 აგვისტოს დატვირთა რა ნახშირითა და სანოვაგით, დარდანელის მახლობლათ მდგარ ესკადრისაკენ გასწია. მარმარილოს ზღვის ნაპირებიდან ოსმალები ბერძნებს ერეკებიან. გამოქცეულები ათასობით მოდიან საბერძნეთში.

**ბაპშტატი.** პარლამენტი დიდის აღტაცებით შეხვდა ახალ გენერალ-გუბერნატორს ლორდ ბესტონს, რომელმაც პარლამენტის სხდომები გახსნა და კოლონიალურ სამფლობელებისადმი მიმართული მეფის წერილი წაიკითხა. გენერალმა ბოტამ წინადადება მისცა გაეგზავნოს მეფეს ადრესი და მჭევრმეტყველურად აღნიშნა ქვეყნის ლოიალობა, სამხრეთ აფრიკის კოლონიები ყოველ საშუალებას იხმარებენ, რომ მეტროპოლის დაეხმარონ, ვინაიდან მათ ინგლისთან საერთო ინტერესები აქვთ.

**ოსტენდე.** 27 აგვისტო. სამოცათასიანი ლაშქარი გერმანელებისა ბელგიის გზით საჩქაროდ მიდის გასამაგრებლად მარჯვენა ფრთისა, რომელსაც დიდი ზარალი მოუვიდა. გერმანიის იმ ჯარმა, რომელიც ბელერემში იცდიდა, გენტს კონტრიბუცია მოსთხოვა. დილით ბრძანება მოუვიდათ აიყარენით და საფრანგეთს წადითო. ბრძანება დაუყოვნებლივ იქნა შესრულებული და რენეს გზით ლილისაკენა თუ ვალანსიენისაკენ გაემართნენ.

**ოსტენდე.** 27 აგვისტო. კურტრესა და ვერსოს შუა მდებარე ლილო და პოტინიე გერმანიის ბრძოლის ველიდან გამოქცეულ ჯარის კაცებით (დეზერტირებმა) აივსო.

**ლონდონი.** 28 აგვისტო. ზღვათა უწყება აცხადებს, რომ შოტლანდიის ნაპირებთან დაიღუპა სამხედრო გემი „ოკეანიკი“. გემზე მყოფი აფიცრები და ჯარის კაცნი ყველა გადაარჩინეს.

**ვაშინგტონი.** 28 აგვისტო. თეთრი სასახლე და სახელმწიფო დეპარტამენტი უარსა ჰყოფენ ვითომც პრეზიდენტის სახელზე მოსულიყოს იმპერატორ ვილჰელმის ის წერილი, რომლის შინაარსიც „ვოლფის“ სააგენტომ გამოაქვეყნა ვაშინგტონში მყოფმა გერმანიის ელჩმაც არა იცის რა ამ წერილის შესახებ.

**ნიში.** 27 აგვისტო. ,,პრესს-ბიურო'' ოფიციალურად იუწყება, რომ სოფიიდან მოსული ცნობები ვითომც ველესთან რკინის გზა დაინგრიოთ ტყუილიაო.

**ლონდონი.** 28 აგვისტო. მეფემ მიმართა ოკეანეთა იქით მდებარე თავისი ქვეყნების მთავრობებს და აცნობა, რომ ინგლისის ყველა მცხოვრები აღფრთოვანებულია იმ გრძნობით, რომ ჩააქროს არაფრისაგან გამოწვეული მიმართულება კაცობრიობისა და ქვეყნის ცივილიზაციის წინაამდეგ. ინგლისს არ შეეძლო მონაწილეობა არ მიეღო დღევანდელ ომში, ვინაიდან ბელგიის ხელშეუხებლობა, ხელშეკრულობის მიუხედავათ, დარღვეულია და საფრანგეთის ერს მოსპობა მოელოდა. მეფე სიხარულით აღნიშნავს, რომ იმპერიის ყველა ნაწილი ერთსულოვნობით არის გამსჭვალული, დაიცვას პრინციპი ვალდებულობისა, რათა მტკიცეთ დაცულ იქნას ხელშეკრულობა, რომელიც ხელმოწერილია მთავრობებისა და ხალხის მიერ.

**პეტროგრადი.** ხელმწიფე იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასული უცხადებს თავის უგულითადეს მადლობას ყველა იმ პირს და დაწესებულებას, რომელთაც თავისი შენობა დაუთმეს ლაზარეთისათვის და თავისი წვლილი არ დაიშურეს ომში გაწვეულთა ოჯახების სასარგებლოთ. იტალიის მთავრობა აცხადებს, რომ დღეიდან გავიდენ იტალიის სახელმწიფოდან უცხოელები, მხოლოდ იმ პირობით, რომ მათი პასპორტები შემოწმებულ იყოს იტალიის საკონსულოს მოხელეების მიერ. ადგილობრივი სასამართლოების რეფორმები, რომელიც უნდა შემოეღოთ მეორე რიგის გუბერნიებში 1415 წლის თებერვალში, დროებით შეჩერებულ იქნას, ხარჯების შესამცირებლათ. ტუსაღების მთელმა რიგმა შუამდგომლობა აღძრა—ნება დართონ გავიდენ მომქმედ ჯარში და სასჯელი მოიხადონ ომის ასრულების შემდეგ. განზრახვა აქვთ ასეთი შუამდგომლობა დააკმაყოფილონ, მხოლოდ ისეთი პირებისა, რომელნიც ამას დაიმსახურებენ თავისი კარგი ყოფაქცევით.

**პეტროგრადი.** რადგანაც შესაძლებელი შეიქნა პოლონეთიდანა და დასავლეთ მხრიდან რუსეთში გამოსვლა, ამიტომ მთავრობამ განკარგულება მოახდინა 28 აგვისტოდან 31 დეკემბრამდი უფასო რკინის გზის ბილეთები მიეცეს ყველა იმ ღარიბს, რომელიც აქიდან სამშობლოში დაბრუნებას მოისურვებენ. წითელი ჯვრის უმთავრესმა სამართველომ შესაძლებლათ დაინახა, დანიშნულ იქნან ექიმი ქალები არა მარტო გოსპიტლებში, არამედ მამაკაც ექიმთა მისაშველებლათაც (რეზერვი); აგრეთვე წითელი ჯვრის სამსახურში ჩაირიცხებიან ის ექიმები, რომელთაც საზღვარგარეთის დიპლომები აქვთ.

**პეტროგრადი.** გამოირკვა, რომ ჩვენ დიდი წარმატებით ვმოქმედობთ ავსტრიელთა მარცხენა ფრთაზე, რომელიც ახლა მოწყვეტილია ტომაშევისა და რუსის რავას რაიონებში მომქმედ მტრის უმთავრეს ძალებს.

**ჩიფუ.** ციდაოდას მახლობლათ იაპონელებმა მრავალი ნაღმი ააფეთქეს. 16 ადგილას დაზიანებული ჰაეროპლანი მშვიდობით დაბრუნდა, დაზვერა რა ცინდაოს ციხე სიმაგრენი. დიდი წვიმების გამო იაპონელთა იერიშები შეჩერებულია.

**კოპენჰაგენი.** გერმანიის მთავრობა ოფიციალურათ იუწყება, რომ გერმანიის ჯარის მარჯვენა ფრთა, რომელიც მდინარე მარნაზე გადავიდა, მოკავშირეთა ცხარე იერიშის გამო იძულებული გახდა უკან დეხია.

**ტოკიო.** საკოლონიო კითხვების გადასაწყვეტათ აქ საჩქაროთ გამოწვეული არიან გენერალგუბერნატორები კორეის, კვანტუნის და ფორმოზისა.

**ვაშინგტონი.** 29 აგვისტო. ლონდონში მყოფ ამერიკის ელჩისაგან ვილსონმა დეპეშა მიიღო, რომლითაც ელჩი აცნობებს, რომ ინგლისმა გადასწყვიტა არ შეკრას ზავი, ვიდრე გერმანია სრულებით არ განადგურდებაო.

**ლონდონი.** 29 აგვისტო. ჩრდილო ზღვაში, როგორც ფიქრობენ, დაიღუპა გემი ოტტავა, რომელიც ნაღმს წააწყდა. გემზე 22 კაცი იყო.

**იოჰანისბურგი.** 29 აგვისტო. ქვანახშირის ფუღუროებში ნახეს ძლიერი ასაფეთქებელი ნივთიერება, ამიტომ გერმანელი და ავსტრიელი მუშები მუშაობიდან დაითხოვეს.

**პეტროგრადი.** წითელი ჯვრის საზოგადოებას ნება მიეცა ერთი დღით შეაგროვოს მთელს რუსეთში შემოწირულება, რომლის მოგროვებასაც ხელმძღვანელობს კომიტეტი, დიდი მთავრინა ქსენია ალექსანდრეს ასულის თავჯდომარეობით. თავჯდომარის ამხანაგებათ დანიშნული არიან სახელმწიფო სათათბიროს თავჯდომარე როძიანკო და ინფანტერიის გენერალი პოლივანოვი. შეწირულობათა შეგროვება განზრახულია სეკტემბერში.

**პეტროგრადი.** დამტკიცდა, რომ კრეისერი პასთინდერი, რომელიც შოტლანდიის აღმოსავლეთის ნაპირებიდან 20 მილის მანძილზე ვითომც ნაღმს წააწყდა, ნამდვილათ დაღუპულია გერმანელების წყალქვეშ მავალი გემისაგან. ბეჭედითი ბიურო ამტკიცებს, რომ საფრანგეთის საომარ ველზე ბრძოლა იყოვო. მტერი უკუაქციეს. ფრენი იუწყება, რომ ბრიტანეთის პირველი კორპუსის ჯარმა დამარხეს 200 მკვდარი მტრისა. ხელში ჩავიგდეთ 12 პულემიოტი, რამდენიმე ტყვე. მეორე ბატარეამ ტყვეთ წამოიყვანა 350 გერმანელი და ხელში ჩაიგდო ბატარეა. გერმანელებმა დიდი ზარალი ნახეს. ტყვე გერმანელები აცხადებენ, რომ მათი ჯარი ძლიერ მოქანცული არის, ინგლისელები მარნაზე გადვიდენ ჩრდილო მხრისკენ.

**ბელგრადი.** ქალაქში დიდი მხიარულებაა. ქალაქი დროშებითაა მორთული, სიმაღლეებიდან შენიშნეს ჯარის გადმოსვლა. საკრებულო ტაძარში მეფე გიორგის სადღეგრძელოთ პარაკლისი გადაიხადეს. ხალხმა აღფრთოვანებული ოვაცია განუმართა მეფეს. ზემლინის დაჭერის დაწვრილებითი ცნობები ჯერ კიდევ არ არის მოსული. მედგარი იერიშის მიტანა იყო მიზეზი ზემლინის ჩქარი დაჭერა. ბრძოლა დილის ოთხ საათამდი გაგრძელდა.

**რომი.** სტეფ. უარჰყოფს გაზეთების ცნობას, ვითომც იტალიის რკინის გზებზე მატარებლების მიმოსვლა ღამით შეწყვეტილი იყოს.

**პეტროგრადი.** სააგენტოს მოუვიდა შემდეგი ცნობები ომში გაწვეულთა ოჯახების დასახმარებელ ორგანიზაციის მოწყობის შესახებ: პეტროგრადის წითელი ჯვრის მთავარმა სამართველომ დაადგინა: მოაწყოს სასანიტარო და სადეზინფექციო რაზმი. პირველი მათგანი უკვე მზათ არის ბრძოლის ველზე გასაგზავნათ. წითელი ჯვრის სამართველოს უმთავრეს რწმუნებულთაგან უკვე მიღებულია სასტიკი ზომები დაარსდეს დაჭრილთა საკვები პუნქტები და რკინის გზებზე მოეწყოს მათი სამშობლოში დაბრუნება. აგრეთვე მიღებულია ზომები — იქონიონ მოძრავი საკვები ორგანოები.

წითელი ჯვრის საზოგადოების ქალთა კომიტეტს წინადადება მიეცა გახსნას საავათმყოფო თავად პავლე დოლგორუკოვის სახელზე 50 საწოლით. პარგელოვის ცეცხლის მქრობელი რაზმის საზოგადოების სახელზე—20 საწოლით ქალაქ პარგელოვში.

**ოზურგეთი.** ექიმმა იოგოლ[illegible]იძემ აცნობა წითელი ჯვრის საზოგადოებას, რომ მას აქვს [illegible] მოწყობილი თავის სამკურნალოში ბინა ორმოცი კაცისთვის. [illegible]ში ადგილობრივი შაქრის ქარხანას მოუწყვია სამკურნალო 40 საწოლით.

**ვალკაში** განათლების საზოგადოება ამზადებს სადგურ ლიუბოტინზე სამკურნალოს 500 საწოლით.

ვარშავაში ყრუ-მუნჯთა და ბრმათა ინსტიტუტში იმართება სამკურნალო 200 საწოლით.

ებრაელ ვაჭართა საურთიერთო დამხმარებელმა საზოგადოებამ გახსნა სამკურნალო 50 საწოლით.

გადიაჩის ერობამ გადასდო ერთდროულათ 25000 მან. ომში გაწვეულ სათადარიგო ჯარის კაცთა ოჯახების დასახმარებლათ.

ლიბავაში აღმოსავლეთ-აზიის სანაოსნო საზოგადოებამ დაუთმო საემიგრანტო დიდრონი შენობები; ქალაქის თვითმართველობამ დაადგინა აძლიოს ყოველთვიურათ 10,000 მანეთი.

**რუზაევის** ოლქმა გადასდო 6,000 მან. ომის საჭიროებისათვის და დაადგინა მოსამსახურეთა ჯამაგირიდან გამოირიცხონ 10 პროც.; პინსკის ერობამ გადასდვა 17,000 მანეთი 2,500 დაჭრილისთვის, ამასთანავე მოაწყო სოგრონომიო რაზმი სალეწი მანქანებით, რომელნიც ივლიან სოფლებში და მუქთათ იმუშავებენ და ომში გაწვეულ სათადარიგო ჯარისკაცთა ოჯახების ყანების დასახმარებლათ საეროზო კავშირმა დაარსა საკვები პუნქტი 30 აფიცრისთვის და 1000 ჯარისკაცისთვის. ერობამ ამოირჩია სათადარიგო ჯარისკაცთა დამხმარე კომიტეტი და ფიქრობს მოაწყოს რამდენიმე თავშესაფარი ბავშვთათვის. ნოვგოროდ სევერის ქალაქის თვით მართველობამ მოაწყო სამკურნალო 20 საწოლით.

ომსკში ერთი დღის განმავლობაში შეაგროვეს დაჭრილთა სასარგებლოთ 7,000 მანეთი ამას წინათ შეაგროვეს სათადარიგო ჯარის ოჯახების სასარგებლოთ.

ორენბურგიდან იტყობინებიან, რომ ტურგაიტოვის ოლქის მცხოვრებთ ბაშკირებს ვადაუდვიათ ომის საჭიროებისათვის 14000 მანეთი.

**კოპენჰაგენი.** 28 აგვისტო. ვენიდან იტყობინებიან, რომ ავსტრიის სამხედრო მფრინავი მზვერავები: ფლესი და ვოლფი ჩრდილოეთის ბრძოლის ველზე მოკლეს.

**ლონდონი.** 28 აგვისტო. ადმირალტეისტვის ცნობით, გუშინ და დღეს ინგლისის ფლოტის ბევრმა ესკადრამ თავისუფლათ გაიარა მთელი ჩრდილო ზღვა გოლგოლანდიის ბუხტამდი. გერმანიის ფლოტებს ხელი არ შეუშლია ინგლისის ესკადრის მოქმედებისათვის. საზოგადო ზღვაში გერმანიის არც ერთი გემი არ სჩანდა.

**კოპენჰაგენი.** 29 აგვისტო. ვოლფის სააგენტო იუწყება, რომ გერმანიის მე-

# იმედოვნდენ...

I.

მაკრინე ასე ადრე არ მოელოდა ქმარშვილს და ჯერ არც ვახშმის თადარიგში ყოფილა.

მზე ისევ მაღლა იდგა, როცა ნიკომ,—ოჯახის უფროსმა ვაჟმა,—დააყუდა თოხი სახლის წინ. მამაც თან მოჰყვა. ორივე მამაშვილს დაღრეჯილ სახეზე ეტყობოდათ რომ კარგს არას იტყოდენ. მაკრინე გულგახეთქილი გამოვარდა სახლიდან.

— რა იყო კაცო, მარცხი ხომ არაფერია ასე ადრე რომ მოვედით. თუ გამოათავეთ სათოხარი?

— გამოვათავეთ-კი,— მიუგო შვილმა და რაღაც მწარე ღიმილმა გადაურბინა ვაჟკაცს სახეზე, ქისა გახსნა და თამბაქოს დაუწყო ქაღალდში ხვევა. სოფრომი იქვე ჩამოჯდა დაბალ სკამზე, ჩამტვერიანებული წუღა ცოდვილით გაიძრო და დაუწყო ბერტყვა.—მიწით ამოვსებოდა.

— აღარ იტყვით რა იყო? რანაირი ფერი გაქვენ? განმეორებით იკითხა მაკრინემ.

— პრისტავი გვიბარებს კანცელარიაზე, რაცხა რისხვით.

— თქვენ მამაშვილს?

— ჩვენ კარა, თელ სოფელს, თელ ქვეყანას.

— რიზა აწი?

— რა ვიცი, სტრაჟნიკები დეგვეცენ თავზე ამ ქაქანია სიცხეში, დავაყრევიეს თოხები ხელიდან და გვიბრძანეს იმ მინუთში*) გავყოლოდით. ვინც არ დოუჯერა და თოხს არ გოუშვა ხელი, ბარე ორი მათრახი მიაყოლეს და გეირეკენ წინ. მერე ბაღანას უთხარი, ბაბა! სირცხვილი არ გვაჭამონ მა შეჩვენებულებმა და დაგვშოლტონ მეოქინ, წევიდეთ-თქვა და ა მივალთ, გევიგებთ რა ამბავია. გამომიტანე მაქანე პაიჭებია საცხა. მაკრინე უსიტყვოთ შეტრიალდა სახლში, გამოუტანა ქმარ-შვილს ტანისამოსი. ცოტა ხანში მომზადებულნი, გადავიდენ ეზოდან. მაკრინე კი გულხელ-დაკრეფილი მისჩერებოდა მიმავალთ, და დაბნეული იდგა გამოურკვეველ ამოცანის წინ.

II.

მამაჩემო, იმედს ნუ დაკარგავ, ყოჩაღათ იყავით, საცხა იმდენი ხალხია, შენი კუთხე-მეზობელი, მთელი ქვეყანა, შენი შვილებიც იქინე უნდა ერიოს.

III.

ვერ უყურებდი რა ზღვა ხალხი იყო?

— კი უყურებდი, ბაბა, კი რავა არ უყურებდი, აგერ დიდი კაცი, თვარა მე,. რაცხა იქნება.—ასე ლაპარაკობდენ სოფრომ იმედაძისას ნაშუადღევის და ნიკოს წასასვლელად ამზადებდნენ.

— ჰო და ასე ოთხ წელიწადს რო გვასტავლა მიზა რომე, როცა დავჭირდებოდით ისევე ქე დაგვიძახებდა, მარა თქვენ ნუ გეშინიათ.—აიმედებდა და ფაცა ფუცით იცვამდა ტანთ.

— ვაი დია, ვაი შვილო, ღმერთმა, რას მევესტარი ამას მე თვალებ დასავსები შენი თავი რავარცხა იყო დამიბრუნა ღმერთმა შვიდობით, შარშან მორე წამართვეს წიწილივით. წელში მაცანცალებდა, არ გოუწყრეს ჩემ მტერს ღმერთი ჩვენ ხენწიფეს არევისთან მოუვიდეს ჩხუბი სანამდი ბაღანეი ჯარში მყავსთქვა, ღმერთს სულ ამას ვეხვეწებოდი და ამას რას შემასტრო უფალმა, ახა, ორვევს მართმევენ, მერე ქმარს წამართმევენ; უი, უი ჩემ თავს!.

— დაანებე დედა კაცო წუწუნს თავი, ალბათ ასე უნდა ყოფილიყო, ხენწიფეები კარა მე და ჩემი სახლიკაცი გორეის გარმოტეხიზა ცხვირ პირს ვამტროვთ ერთმანეთს, ჩვენ ვერ მოვრიგებულვართ და იგენის საქმე სახუმბრო ხვარაა.

— დედა ჩემო, მამა ჩემიც თუ წამეიყვანეს და სხვები მაგის ტოლები... მაშვინ უყურეთ სეირს.

— ჰო და შვილო მაშვინ თელათ მეისრება ალბათ ქვეყანა.

— ნუ გეშინია დედა ვმასხრობ იმედია შერიგდებიენო და ვინ იცის. გამოხვიე ყორიფელი, რაც წასაღებია გამეირებენ აწი.

— შვილო, საცვლები, ხალათი, ორი წინდა და ოთხი ხაჭაპური, ყველსაც ჩაგიდებ, შვილო. წიწილის დაკვლა მინდოდა, მარა რა, დეიბანა დედა შენის ფავი, ველარაფელს ვედარ ვეგნები, თელი სახლი ტრიალობს დედა შვილობამ.

— ბაბა, ქაღალდი არ დააგვიანო, შენი ჭირი შემეყაროს, სით წაგიყვანონ და რა იქნება იმ ბიჭსაც მიაწერინო წიგნი...

გეუნებით ნუ გეშინიათ, მართლა ცხვრებივით-კი არ, მიგვაწყვეტენ ამდონ ხალხს, ვეცდები იქნება იმ ალაგში მოვხვდე, საცა ლენტორიია...

— შორე კია შვილო, მარა, ორვე ძმები ერთად რო იქნებით კიდო კაი იმედია. ოჯახის ჯავრი ნუ გექნებიენ, იმ ჭირნახულს რაცხა ფერათ ქე მევიწევთ. ეჰ, ჩემი ცოდვა, გარაწყვეტილი მქონდი ბარელამ იმ გოგოზე გეგეთავებია საქმე და ამ შამოდგომაზე ერთი გემენათებია სახლი, მარა აღარ დაცალდა მტერს...

ნიკოს სიწითლემ გადაურბინა სახეზე, შერცხვა, თუ გული შეუტოკა ამ სიტყვებმა, პირი მიიბრუნა და სანთელით რაღასაც დაუწყო ძებნა.

— ღვედი იყო საცხა აქანე... გადააკეთა სიტყვა.

— რა უთხრათ, დია, ქალის პატრონს, რო შამოგვეკითხოს? ისევ დაუბრუნდა მაკრინე ამ საგანს.

— რას ეტყვის, დედა, ამისანა დროს რა შეუძლია თქვას კაცმა. წუხელ საღამოს ქე ნავხე დათიკეი და უთხარი ჩემი სიტყვა, ვინ იცის დავბრუნდებით ცოცხალი? რავარც ჰკუამ მისცეს ისე ქნას.

— ნიკოი, ნიკოია უუუ!—მოისმა გზიდან მიმავალი ამხანაგები გამოეხმაურნენ.

— აჰააა! გასცა პასუხი ნიკომ.

— არ მოდიხარ კაცო?

— ა მოვალ, მოვალ, წეიარეთ და მოგეწევით. პეტერეი საქმე მაქ—გასძახა, დედ მამას გამოეთხოვა. მაკრინემ პირს ჯვარი გადასახა, წაღმა დააბრუნა, მარჯვენა ფეხი წინ გადაადგმევინა და გაუშვა გარეთ.

— არ იტირო, დედა-კაცო, არ იტირო, ცრემლი არ დამანახო ღმერთს თხოვე რუსთ ხემწიფემ გეიმარჯვოს მტერზე და ჩვენ შვილებსაც არაფერი გაუჭირდებათ,

მაკრინე მძიმეთ დაეშო მუხლებზე და დიდხანს ავედრებდა უფალს ლაშქართ წასულ შვილებს,

III

დათიკა ლოდინაძისასაც არ დასძინებიათ დიდხანს ამ ოჯახს არავინ ჰყავდა გასასტუმრებელი. მოხუცი დათია და მისი ცოლი ერთ თეოლინეს შეჰყურებდნენ, ის იყო მათი მოსწრება, კიდევ ჰყავდათ ქალი. კარგა შეძლების მქონე გლეხს დიდი ხანია ეჭირა თვალი, კოხტა მოხდენილ და თან გამრჯელ ნიკოიაზე.

— ორი შვილის მეტი არც მამა მისს ჰყავს, ენებებათ სიძეთ შამეუყვან, ენებება და იქით მივცემ კაი მზითვებს ორვე ოჯახს გოუძღვება ლომივით ბიჭიო—იტყოდა დათიკა.

მე შენ გეტყვი შორს ვართ ერთმანეთზე, სამი მოსახლე არაა შუაზე... ჩემი შვილის გაჭირება—დალხინებას ჩემი თვალით უყურებ დედავ და თვალო. დაუმატებდა გურქანი.

თუ ამ დროს თეოლინე ახლოს იყო და ესმოდა ეს საუბარი, ლოყებ აწითლებული და თვალებ ანთებული გაიპა-

*) წამს გლეხა ასე ეძახის.

...ს უმცროსი შვილი იოხის შრაპნელით ...იქრაო.

**პეტროგრადი.** ფილიანდიის გემი ულე-...ორგი, რომელიც რმინიდან შვეცია... მიემგზავრებოდა. წარსულ ორშაბათს ...კავებული იქმნა გერმანიის ნალმოსნის ...ერ; გუშინ საღამოს მოვიდნენ კორის-...ონში დანიის მეზღვაურები, რომელთაც ...ნახავთ, თუ როგორი სროლა აუტეხეს ...ლეაბორგს; გემი მალე დაძირულა, ყვე-...ა მგზავრები კრეისერ აუგებურგზე გა-...უსხამთ. მობეჟიდან იტყობინებიან, ...ომ მოკლულ იქმნა გერცოგი ჰერნსტი.

**პეტროგრადი.** ისევ მოელიან სახალხო ...ტარებლების მიმოსვლის შეჩერებას. ბერ-...ინში გამოცხადდა მოწოდება თავისუ-...ლი მეომრებისადმი; ჯარისკაცთა იმ ნა-...ილში, რომელთაც დაჭერილი აქვთ ბელ-...ია, არიან 15—16 წლის ახალგაზდები. ...ერმნიის ჯარის საომარი მოქმედება სა-...ურველად სწარმოებს; მიღებულ ცნობე-...იდან სჩანს, რომ გერმანიის ჯარები პა-...არი ქალაქის მახლობლათ სდგას. რუ-...ეთის ჯარების მოქმედება დასავლეთ-ავსტ-...იის ფრონტზე კარგათ მიდის; რავასთან ...უსეთის ჯარი გარს უვლის ავსტრიის ...არს.

**ლონდონი.** ბეჭვდითი სიტყვის ბიურო ...ტყობინება, რომ მტერი ისევ უკან იხევს; ...ნგლისელებს 1500 დაჭრილი ტყვე და ...რამოდენიმე იარაღი ჩაუვარდათ ხელ-...ში. მტერი უწესრიგოთ იხევს უკან; რო-...გორც გამოირკვა მთავარ ძალას მოწყვეტი-...ლი ჯარის კაცნი, ტყეში იმალებოდნენ; ...ტერს კვალდაკვალ მისდევდნენ.

**პეტროგრადი. სამხედრო შტაბისაგან** ...9 აგვისტო. ჩვენმა ჯარებმა ტურენინი ...დაიჭირეს და მტერს უკან დაედევნენ, ...ცხენოსანი ჯარი ტილში მოქმედობს; შე-...უპოვარი ბრძოლის შემდეგ ტომაშევი ...ავიღეთ. ცხარე ომია რავასა და დნესტრს ...შორის, აღმოსავლეთ-ფრთაზე მტერი შე-...ტევას განაგრძობს; ის დიდი ენერგიით ...მოქმედობს მაზურსკის ტბების მიდამოებ-...ში, მიშინცის მახლობლათ. ჩვენმა ჯარებ-...მა უკუაგდეს მტრის იერიში და გერმანიის ...ჯარებს დიდი ზარალი მიაყენეს.

---

**ე. პ. ხოჯევანიშვილის კერძო პრო-...გიმნაზიაში სწავლა დაიწყება პირველ ...ეკენისთვიდან.**

---

# მოწოდება

**...ანბალი პიტირიმი, საქართველოს ექსა-...რხოსი, მთავარეპისკოპოსი ქართლისა და კახეთისა.**

საყვარელთა უფლისა მიერ მწყემსთა და ...სამწყსოსა ივერიის ეკლესიისას: **მადლი ...თქვენდა და მშვიდობა ღმრთისა** მიერ ...მამისა და უფლისა ჩვენისა იესო ქრის-...ტესგან გამრავლდინ.

მარჯვენე მტკიცე და მკლავი მაღალი ...ღმრთისა, გამოუკვლეველისა განგებულე-...ბას შინა თვისსა სოფლისათვის და კაცთა ...ნათესავისა; აწ იქმს მსჯავრისა თვისსა ხვედრისათვის კაცთასა. **აღმოსავლითგან მზისა დასვლამდე** აღიძრნიან ერნი, მოსალოდნელია შეცვლა ქვეყანაზე მცხოვრებ ერთა საყოფელის საზღვართა. ქვეყანა დაბურვილია თოფი წამლის ბოლის ღრუბლებით, ბრჭყვიალებენ მახვილნი, ისმის გრგვინვა სიკვდილის მფრქვეველ ზარბაზანთა. ყოველსავე ამაში ჩვენს სულიერს მხედველობას წარმოუდგება საწერელი ზეციერის მწიგნობრისა ხელოვნისა, რომელიც საიდუმლო წერილებით წიგნსა შინა კაცთა ცხოვრებისასა სწერს ახალსა კაბადონსა სიყვარულსა და ძალმომრეობას შორის ძველად-ძველის ბრძოლისას. ამ რიგად ჩვენ განვიცდით დიდებულს ისტორიულს ხანას. ვსთქვათ, ჯერჯერობით მიუწდომელია ჩვენთვის საბოლოვო საიდუმლო ამ სამწუხარო ხანისა, თითქოს დაბეჭდილია აპოკალიფსის შვიდის ბეჭდითა. მიმდინარე გარემოებათა ერთს შეურყეველს ჭეშმარიტებას ცხადად ჰხედავს გული ჩვენის ძვირფასის მამულის თვითეულის შვილისა. მორჭმული პატრონი რუსეთისა, ცხებული ღმრთისა, მამა და მფლობელი ჩვენი, ყველა თავის ქვეშევრდომთან ერთად მტკიცედ სდგას სამართლიანის საქმისთვის. რუსეთი არა სთესდა მტრობას ერთა შორის, ტყუილუბრალოდ არ აჟღერებდა იარაღს, — ძვირად აფასებდა წმიდა სჯულის საუნჯეს, უყვარდა თვისნი უმცროსნი ძმანი სლავიანნი და ვერ შეეძლო მოეთმინა ძლიერისაგან შეურაცხყოფა ჩვენს მონათესავე მრავალტანჯულის სერბიისა. მაშინ ჩვენმა მეზობელმა, ორივ გერმანელთ სამეფოს ერმა აიხადა ნიღაბი გუშინდელს მეგობრისა და ცხადჰყო მთელს ქვეყნის წინაშე თვისი საშინელი გულზვაობა დაჰკარგა სირცხვილი და დაიშო სვინიდისი, არად ჩასთვალა საუნჯე სარწმუნოებისა, როცა თოფითა ჰხვრეტდა მღვდელობის მადლით მოსილთა! მტერმა შეურაცხჰყო განათლებაც და კულტურაც, რომლითაც ასე თავი მოჰქონდა და კეთილშობილება ჩვეულებათა, როდესაც ვერაგულად თავს დაესხა თავისს სახლში მასთან სტუმრად მყოფ უიარაღო რუსთა. ჩვენის მტრის გულში არ აღმოჩნდა ნაწილი მოწყალებისა ჩვენთა დედათა და შვილთადმიც კი და სისხლი ამ უმანკო მოწმეთა, როგორც სისხლი აბელისა, ღაღადებს ქვეყანად.

მაშინ აღსდგა მთელი რუსეთი თავის დასაცველად ჯვარით გულში და მახვილით ხელში. და აი ათოვანნი შვილნი მამულისანი ერთგულად მიდიან მტრის წინაამღდეგ სისხლით მორწყული ველზედ. გავიხსენოთ, საყვარელნო, რომ ისინი წავიდნენ ჩვენთვის შეურყეველის მშვიდობის მოსაპოვებლად და გასწირეს თავისი საკუთარი სიცოცხლე დედა-მიწა მათთვის საწოლია და ზეცა კარავი, რომ ჩვენ დამშვიდებით განვისვენოთ ჩვენს თბილს ქერ ქვეშ. შეწუხებული დედანი და უნუგეშო ცოლნი დასტოვეს მათ, ჩვენთან მცველთა ჩვენ შორის, ბევრმა მათგანმა, შეიძლება, უკანასკნელად დაჰკოცნა თავისი პაწაწა შვილები ამ არ გაგონილი თავხედობისათვის პასუხის მისაცემად მტრისა და უკანასკნელად შეხედეს, რომ შემდეგ უშიშრად უცქირონ სიკვდილს. დიაღ, ჩვენი მხედარი უშიშრად უცქერის სიკვდილს, რადგანაც იცის სიტკბოება მოყვასთათვის თავის დადების სიყვარულისა, სიტკბოება ქრისტეანულის აღსასრულისა, როგორც გარდასვლისა ბრძოლის ველიდან ზეცის მოწამებრივის გვირგვინით.

რა მივაგოთ, საყვარელნო ძმანო, მათ ჩვენთვის და მამულის სიყვარულისთვის? ნუთუ მხოლოდ მოუთმენელი მოლოდინი გაზეთის ცნობათა ბრძოლის ველიდან? არა, ჩვენი ვალი მათ წინაშე დიდია; ამიტომ, როგორც მღვდელთმთავარი, მოგიწვევთ მტკიცე სარწმუნოებით და შეუწყვეტელის ლოცვით ხელი შეუწყოთ ჩვენის ძლევა-მოსილი ჯარის გამარჯვებას. თუ თვითეული ჩვენი მეომარი სუსანინია ჩვენის მამულისათვის მრავალი მშვიდობიანი შვილი მდიდარ სასახლეებიდან ღარიბ ქოხამდე, აღმოჩნდეს კიდეც უხვი მინინი: მდინარესავით წამოვიდა შემოწირულებანი დაჭრილ მხედართათვის.

მაგრამ, საყვარელნო ძმანო. ადგილობრივაც დიდი საჭიროებაა მამულის დასაცველად წასულთა. აქ დარჩა მათი ოჯახობა, სახლკარი, ყანები, მინდვრები. ნუ თუ ჩვენს დამცველს დაუტოვებთ მინდორველს მოუმკალს და გაუთიბავს; სახლს უყურადღებოდ? ნუ თუ ნებას მივცემთ ჩვენს თავს დავივიწყოთ ოჯახნი ჩვენთვის ძვირფას მხედართა? დავიწყებულ იყოს მარჯვენე ჩვენი, უკეთუ ჩვენ არ აღვიბეჭდავთ ჩვენს გონებაში მუდმივ ხსოვნას ობოლთა, რომლებიც დარჩნენ უპატრონოდ.

თქვენ მიმართ, საყვარელნო მწყემსნო და შენ მიმართ ძვირფასო, ღვთისგან ჩვენდა ბოძებულ ივერიის სამწყსოვ, მომართულია ეს ჩემი მღვდელმთავრული მოწოდება? თოვლით დაფენილი მთები, ღრმა ხეობანი და ფრიალონი ჩვენის ქვეყნის მრავალ საუკუნეთა განმავლობაში მოწმენი იყვნენ საომარის ქარტეხილისა. ივერიის კეთილმორწმუნეთა მეფეთ იცოდნენ ხოლმე კეთილმსახურის ერის შეკრება უფლის ჯვრის ნიშის ქვეშე მტერთა საძლეველად, ივერიის მწყემსთ მოძღვარნი ძლიერნი მლოცველნი იყვნენ თვისთა მეომართათვის, ივერიის ძენი არ მორიდებიან არაოდეს მოწამებრივს გვირგვინსა, ხოლო ასულნი ამ ერისანი ძლიერებით აღფრთოვანებდნენ ძლევა მოსილ მოყმეთა წმინდა ქვეყნისათვის მტკიცედ მდგარიყვნენ; ეხლაც, ამ განსაცდელის წელიწადს, რომელიც მოუვლინა ჩვენს მამულს ღვთის განგებამ, თვითოეულმა ჩვენგანმა ხმა მისცეს ამ ჩვენს მღვდელმთავრულს მოწოდებას ღრმად გვრწამს, რომ ახოვანი და უქრისტიანესი ერი ქართველთა ეხლაც დაამტკიცებს, რომ ღირსია იწოდებოდეს წილხდომილად ყოვლად წმინდა ღვთისმშობლისა და მოციქულთა სწორის ნინოსი, რომელმაც სიყვარულით დაუმორჩილა ივერია ქრისტეს. ღრმად გვრწამს, რომ ივერიის შემდეგ ხმას მოგვცემს მართლმადიდებელი ოსეთიც, რომელიც თავისის თავ გადასავალით ასე დაახლოებულია ივერიასთან და განმზადებულია მარადის შესწიროს თავი თვისი ერთად მასთან და თვის რუს ძმებთან დიდებისათვის და პატივისა ჩვენის მამის უკეთილმსახურების ხელმწიფე იმპერატორისა და ჩვენი საერთო მამულის რუსეთის მთლიანობისა და ღირსებისათვის. მსხვერპლით მსხვერპლის თვის ჩვენ მოვიპოვებთ დიდებულს ზნეობრივს უფლებას გვრწამდეს, რომ დამკვიდრებული ცათა შინა ეცინოდის მტერთა ჩვენთა და იტყოდეს მადამიმართ რისხვითა თვისითა (ფს. 2, 4, 4), ხოლო ჩვენის მამულისათვის და ყველა ჩვენთვის, იტყოდეს მშვიდობასა. მაშ შევერთდეთ ყოველნი გულითა და განმრავლდეს ჩვენ შორის მადლი და მშვიდობა ღვთისა მამისა და იესო ქრისტეს მიერ.

საქართველოს ეგზარხოსი **პიტირიმი.**

---

...რებოდა ხოლმე, გაიპარებოდა სადმე ...კუთხეში და ჩუმათ შესთხოვდა ღმერთს, ...რომ ჩქარა დამდგარიყო ის დრო, როცა ...ოჯახის ქალი დაერქმეოდა. ამასაც ხო ...დიდი ხანია თვალში ჰყავდა ნიკო. არც ...ნიკო იყო გულ დაწყნარებული. ერთხე...ლაც არ ახსოვს თეოლინეს, ნიკოს ფეხ ...შიშველა ჩამტვერიანებულს ჩამოევლოს ...ყანიდან ამათ კარზე; თეთრი ან წითელი ...ახალუხი სულ ეკიდა ყანაში წიფლის, ...თელის ან ბჟოლის ტოტზე. ყანაშივე და-...იბანდა პირს დაივარცხნიდა თავს, სუფ-...თა ახალუხით და გაწმენდილის წუღა ...საცვეთით, პაპიროზის ბოლებით მისდევ-...და ურემს უკან საღამოობით. ამას ყვე-...ლას თეოლინეს გულისთვის სჩადიოდა. ...კი ჰხედავდა გოგოს გამჭრიახი თვალები ...და თეოლინეს გული როგორღა უნდა ...გამაგრებოდა ვაჟკაცის ასეთ ქცევას?

ამდენი მოლოდინი, ამდენი ნატვრა ...ა ბედნიერი დღის მოახლოვებისა და ...ი, ასე უცბათ-კი ჩაიწყვა ყოველივე. ...საზარელი ხმა მეხივით გავარდა სოფ-...ლათ.

— ლაშქრათ, ლაშქრათ — იძახდა ყვე-...ლა, დიდსა და პატარას ომი ეკერა ენა-...ზე, თეოლინეს გმირი, სალდათობას მორ-...ჩომილი ნიკოც აკი მოჰყვა ამ ლაშქრო-...ბაში.

საღამოს გზათ შემოუარა ნიკომ სასი-...ძმროს, დაემშვიდობა და უთხრა წესიე-...რი სიტყვა.

— „თუ კაი ბედი შეხვდეს შენს ქალს და თვითონაც კმაყოფილი იქნეს ნუ გააჩერებ, ვინ იცის მოვალ თუ არა ცოცხალი, და მაგან რატო უნდა დაკარგოს ბედიო“. — მარა ეს მხოლოდ სიტყვები იყო, შეყვარებულთა ერთი შეხედვა — კი ამტკიცებდა წინაამღდეგს.

დიდხანს ისხდნენ დათიასას საქვეყნო ქარტეხილის შესახებ ლაპარაკში, მაგრამ იტყვიან „წყალსაც ჩაეძინებაო“, და ოჯახმაც მიიძინა.

გათენებისას ნელა გაიღო სახლის კარი და ფეხ აკრებით გამოვიდა თეოლინე, მას ჩაესმა მიმავალთა ხმაურობა და ვეღარ დადგა, შორიდგან მაინც დაინახოს, გზა დაულოცოს. აივანს გასცდა დიდ კაკალს ამოეფარა, რომ შორიდან ბიჭებმა არ დაინახონ.

ნიკომ შარა გზის მაგივრათ შუკაში შეუხვია, პატარა ცხილარი გაირბინა და კალიასავით ჩახტა დათიკას ეზოში.

— ვინ იცის მიცდიდეს გარეთ. რავა ვერ მოიფიქრებდა ერთხელ მაინც შემხვდეს მარტო. ერთხელ მაინც მითხრას თავისუფალი სიტყვა, გულის ფიქრი. თუ ამას ვერ მიხვდა, ვერ იგრძნო და ახლა ძინავს არხეინათ, არ ვყვარებივარ. — ფიქრობდა გზათ მიმავალი, და როცა ეზოში ნიგოზს ამოფარებული ქალი დაინახა ვაჟკაცს გული ვარდივით გადაეშალა, ჯეირნის ნახტომით გადახტა და უსიტყვოთ ჩაეკრა გულში.

თეოლინე არ შეკრთა, თითქოს მოელოდა ამ ნაბიჯს, დიდის ხნის დაგუბებულმა გრძნობა ერთად გადმოედინა და ორთავეს სიტყვა პირიდან წაართვა.

— მიცდიდი, სიხარულო, მიცდიდი? — ძლივს ამოიდგა ენა.

— აპა, რა დამაშინებდა? რიზა უთხარი ბაბას, ნიკო, რიზა — გაათხოვეო. არ იცი თეოლინე სხვას რო არ წაყობა? ვერ მოატყუებდი ამდონხანს?

— ისე, ისე ჩემო სიცოცხლე, აპა შენ რას იტყოდი, გამოგცადე, მართლა გიყვარდი თუ არა... სუ, სუ რა გატირებს, ქალადს ყოველთვის გამოგიზანი, დედა ჩემთან ერთად. ხო იცი იგი რა ქალია, აფხანიკივით შევიძლია უთხრა შენი გულის დარდი. ა, ეს ბეჭედი ატარე ჩემ მაგივრათ კაი ხნის ნაყიდი მქონდა შენთვის — და ბეჭედი თითზე გაუკეთა.

— ჩემო იმედო, ჰო, ჰო, დამიბრუნდი, იცოდე დამიბრუნდი, თვარა ვერ იცოცხლებს შენი თეოლინე.

ბევრი რამ ითქვა სასიყვარულო, ბევრი იმედი მისცეს ერთმანეთს... დაშორდნენ ახალგაზრდები, ნიკო გადახტა ღობეზე და თეოლინემ ჩაიჩოქა.

ერთ და იმავ წუთს ორი ქალი ავედრებდა ღმერთს ლაშქრათ წასულს... შორიდან მიმავალთ ნაღვლიანი სიმღერა მოისმა. ნიკომ ერთხელ კიდევ მიიხედა უკან და დილის ნისლში გახვეულ ქალს მოჰკრა თვალი.

ლანდივით არჩევდა ვაჟის თვალი, რომელიც დაჟინებით გაჰყურებდა მის გზას. უკანასკნელათ უძლვნა მშვიდობა და დაფიქრებული გამოუდგა ბიჭებს.

**მარიამ გარიყული.**

# კერძო დეპეშები.

ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა თავ. დ. ო. ნიჟარაძემ შემდეგი საპასუხო დეპეშა მიიღო მეფის მოადგილის თანაშემწის გოფ-მეის-ტერ პეტერსონისგან. —

„მეფის მოადგილის მონდობილობით გაცნობებთ, თქვენო ბრწყინვალებავ, რომ ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთაგან გამოთქმულ უსაზღვრო ერთგულებისა და იმ სურვილისა გამო, რომ მზათა ხართ ებრძოლოთ სამშობლოს მტერს უკანასკნელ სისხლის წვეთამდი, ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ-ინება უმაღლესი მისი იმპერატორებითი უდიდებულესობის მადლობა გამოგიცხადოთ.„ გოფმეისტერი **პეტერსონი.**

ეს დეპეშა პასუხია თავ. დ. ო. ნიჟარაძის შემდეგის დეპეშისა:

მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის მოადგილეს კავკასიაში.

ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურთა კრებამ დღეს გადიხადა პარაკლისი, რათა ღმერთმა მიანიჭოს რუსის მძლეველ ჯარს შემდეგშიც დათრგუნოს დიდებული სამშობლოს მტერი. ამასთანვე მომანდო კრებამ მოვახსენო თქვენს ბრწყინვალებას, რომ თავად-აზნაურობა თავდადებულია რუსის იარაღის და თვისი წმინდა სამშობლოს სადიდებლათ მსხვერპლათ შეეწიროს და პირველსავე მოწოდებზე საყვარელის ხელმწიფისა გული მიუშვირონ მტრის ტყვიასა, როგორც ერთმა კაცმა და იბრძოლის მასთან უკანასკნელ სისხლის წვეთამდის. პატივი მაქვს მოვახსენო თქვენ ბრწყინვალებას, რომ გულითადის გრძნობით გამსჭვალულ თავად-აზნაურობას, რომელსაც წარსულ საუკუნის განმავლობაში არა ერთხელ ჰქონია შემთხვევა თავი გამოეჩინა ბრძოლის ველზე და სახელი მოეხვეჭა მტერთან ბრძოლაში, დღესაც ახსოვს ანდერძი მამაპაპათა და ბედნიერათ ჩასთვლის თავისთავს, რომ კვლავ დაუმტკიცოს დიდებულ სამშობლო-რუსეთს თავისი უსამზღვრო ერთგულება და სამაგალითო სიყვარული.

ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავადი დ. ო. ნიჟარაძე.

**გაზ. „ზაკავკაზსკაია რეჩისა“**

**კოპენჰაგენი.** ბერლინში რეიხსტაგის წევრთა კერძო თათბირი მოხდა, უნდა გამოერკვიათ საკითხი ახალი გემების აშენების შესახებ, იმათ მაგიერ, რომელნიც დაიღუპნენ ინგლისთან ზღვაზე ბრძოლაში. ამ კერძო თათბირზე არ იყვნენ მიწვეულნი რეიხსტაგის წევრნი სოციალ-დემოკრატები. სოციალ-დემოკრატების ოფიციალური ორგანო ,,ფორვარტსი“ პროტესტს აცხადებს ასეთ დაუმსახურებელ უნდობლობისათვის, რადგან ომის განმავლობაში ჩვენ საკმაო პატრიოტიზმი გამოვიჩინეთ და კიდეც გამოვიჩენთო.

**კოპენჰაგენი.** გერმანიიდან ცნობა მოვიდ მობეჟის აღების შესახებ. გერმანელებს ტყვეთ წაუყვანიათ 40,000 მეცხოვრე.

**მოსკოვი.** ,,უტრო როსსიის“ პეკინიდან ატყობინებენ, რომ მოსალოდნელია გერმანიამ ჩინეთს ომი გამოუცხადოს, რადგანაც ჩინეთმა ნეიტრალიტეტი დაარღვია. მით რომ ნება დართო იაპონიას თავისი ჯარი ჩინეთის ტერიტორიაზე გადმოესხა.

**სტოკჰოლმი.** გერმანიის ფლოტმა ბალტიის ზღვაზე დაიწყო მოქმედება ფლოტი სტოკჰოლმისა და რაუმოს შორის სდგას, რაც რუსეთისა და შვეციის ვაჭრობას საგრძნობლათ შეაფერხებს.

**კოპენჰაგენი.** გერმანიის 30 გემი ნახეს გოტლანდის მახლობლათ, შვეციის ჩონჩქრებში. ფლოტი აღმოსავლეთით მიდის.

# გმირობაც ასეთი უნდა!

როდესაც დანამდვილებით გამოირკვა ... ლვოვის სიმაგრეები 4 ... ბილა, გერმანელთა მოალყე ჯარის უფროსმა იმ დღეს უკანასკნელად ... გენერალ ლემანს, დამნებდით, იარაღი დაჰყარეთო. ლემანმა ცივი უარი შეუთვალა, თუმცა იმ ჟამად სიმაგრე ყოვლად უმწეო მდგომარეობაში იყო. ერთს საათს ვეღარ გაუძლებდა ზარბაზნის სროლას.

გენერალი ლემანი ლოზენის სიმაგრეში ჩაიკეტა, თავი მოუყარა ყველა აფიცრებს და უბრალოდ, ამხანაგურად განუცხადა:

— თქვენ მამაცურად იბრძოდით ძვირფას სამშობლოსსათვის. ბრძოლა ყოვლად შეუძლებელი გახდა. ამის იქით კიდევ წინაამღდეგობის გაწევა სიგიჟეა. ისედაც ბევრი სისხლი დაიღვარა. თქვენი სამხედრო პატიოსნება შეუბღალავია. დადგა წამი, როდესაც ერთმანეთს უნდა გამოვეთხოვოთ. მე გადავწყვიტე აქვე მოვკვდე. ლოზენი იქნება ჩემი სამარე. ყველა აფიცრებმა ერთხმად სთხოვეს გენერალს ბრძოლა განვაგრძოთ და ყველანი შენს გვერდით გავსწყდებითო.

უკანასკნელად იჭექა ზარბაზნებმა სიმაგრეებიდან. მერე ერთბაშად მიჩუმდა, ანაზდეულად გაისმა საშინელი აფეთქების ქუხილი. ქალაქ ლეიჟში აფეთქების სურათის მნახველთ შიშის თავზარი დაეცათ: თურმე გენერალ ლემანს აეფეთქებინა სიმაგრესთან ერთად თავისი თავიც.

მაგრამ, განგებამ სხვანაირად განსაჯა, გენერალი ლემანი ციხის ნანგრევებში ცოცხალმკვდარი იპოვნეს სისხლად დაცლილი და ტყვედ წაიყვანეს. მას ეხლა დიდის მზრუნველობით სწამლობენ. ვილჰელმმა ღირსეულად დააფასა ვაჟკაცობა და ბრძანება გასცა, ხმალი დაუბრუნეთ, გენერალ ლემანსაო.

# დაკარგული მოგზაური ქალები.

16 ივნისს მოსკოვიდან გაემგზავრა ექსკურსია შვეიცარიაში, რომელიც შესდგებოდა რამდენიმე ქალისა და კაცისაგან. ექსკურსია მოაწყო ტეხნიკურ ცოდნათა გამავრცელებელმა საზოგადოებამ. 12 ივლისს მოგზაურები დააპატიმრეს ბერლინში. მამაკაცები გაგზავნეს ციხეში და მასწავლებელი ქალები, საპოლიციო უბანში. მეორე დღეს მამაკაცები გაათავისუფლეს და უბძანეს 12 საათის განმავლობაში მიეტოვებიათ ბერლინი, ქალები კი ბერლინში დარჩნენ ექსკურსიის ხელმძღვანელებმა იგინი ვერ იპოვნეს. რამდენიმე დღის შემდეგ ტეხნიკურ ცოდნათა გამავრცელებელ საზოგადოების სამოსწავლო განყოფილებამ ერთი ამ მოგზაურ ქალთაგან მიიღო დეპეში რუმინიიდან — სინაიდან შემდეგი შინაარსისა:

„ვიგვიანებ, ბერლინი, 7 მარიობისთვე“. ეს დეპეში კი ისე გაიგეს, ვითომ 7 მარიობისთვეს ბერლინიდან მოგზაური ქალები რუმინიაში მშვიდობიანათ ჩასულიყვნენ. ზემო აღნიშნულ საზოგადოების სამოსწავლო განყოფილებამ მიჰმართა გარეშე საქმეთა სამინისტროს თხოვნით, გამოერკვია რუმინიაში მოსული მოგზაურ ქალთა სვე ბედი. გუშინ ამავე სამინისტრომ რუმინიიდან შემდეგი შინაარსის დეპეშა მიიღო:

,,ყველა ცდამ მასწავლებელ ქალების აღმოსაჩენად უნაყოფოთ ჩაიარა. პოლიცია განაგრძობს მათ მოძებნასო“.

# ქალაქის „მამების“ საყურადღებოთ.

ნათქვამია: „ურემი, რომ გადაბრუნდება, გზა მერე გამოჩნდება“-ო. ვიდრე ბალახვანის ქუჩაზე წყალში ვინმე არ დაიხრჩობა და ან კიდევ რაიმე მარცხი არ მოხდება, მანამდე ქალაქი მას არავითარ ყურადღებას არ მიაქცევს.

პირდაპირ შეუძლებელია წვიმის დროს აქეთ გავლა. როგორც კი პატარას წამოწვიმავს ხოლმე, თხრილებიდგან წყალი მთელ ქუჩაზე და ქვაფენილზე გადივლის, რადგანაც მთელი თფილისის ქუჩის და 'აფირჩხიის წყალი აქეთ ჩამოდის. ერთი ქვა-ფენილიდგან მეორეზე გადასვლა არაფრით არ ხერხდება. ზოგიერთები იძულებული ხდებიან გაიხადონ ფეხთსაცმელი და ისე გაიარონ. ასეთ ამბებს, რომ ხედვენ მედუქნეები, გამოაქვთ კიბეები, გადებენ ხოლმე შარაზე და ისე გაყავსთ და გამოყავსთ ქალები და ბავშები. უკვდავი არვინ არ ვართ და ამ დროს, რომ ვისმეს ოჯახში მიცვალებული ჰყავდეს გასასვენებელი. მისი ქუჩაზე გამოტანა ყოვლად მოუხერხებელია, ან კიდევ ავადმყოფი, რომ გყავდესთ, ექიმის ეტლით მოყვანა არ ხერხდება, რადგანაც ქვაფენილი წყლით იფარება და ექიმი წინაკარში ვერ შამოვა, თუ ხელში არ აიყვანეთ!..

განა შეიძლება ასეთი ქუჩის ასე უყურადღებოთ მიტოვება? მით უმეტეს, რომ აქვთ არის საავადმყოფო, სავაჭრო მოედანი და სკოლა. ზამთარი კარზე გვადგია, რა უნდა ქნან მოსწავლე ქალებმა და მასწავლებლებმა?

დრო არის ყურადღება მიაქციოს ამ ქუჩას, ვისაც ჯერ არს. **თამარა.**

სავაჭრო სახლი ი. გოკიელის შვილების ქუთაისში. ამით აუწყებს მოსწავლე ახალგაზრდობას რომ მათ მაღაზიაში მიღებულია დიდი ასარჩევი აუცილებელი საწერი, სახატავი და სხვა მრავალი საკანცელარიო ნივთი ფასები ხელმისაწვდომია, თანახმად კავკასიის [illegible] ველის წინადადებისა, ჩვენ—მიერ გამოცემულ რვეულებსა და დღიურებზე მოთავსებულია დარიგებანი თუ როგორ შეიძლება თავის დაღწევა (მალერიისაგან) ციებისაგან, [illegible]

ხელახლად ჩვენ-მიერ გამოცემულია დღიურები მოწაფეთათვის, რომლებიც სავსებით მოწაფეთა მოთხოვნილებაზეა შეთანხმებული. დღიურები დაბეჭდილია საუკეთესო ქაღალდზე და მიუხედავათ ამისა ფასები დატოვებულია წასული წლის.

# ქუთაისი

ახალი ამბავი.

29 აგვისტოს დღის 3 საათზე პავლე ქლიკაძის ბავშვი—ვლადიმერი, წითელი ხიდის მახლობლათ რიონის პირათ თამაშობდა. მას ფეხი აუცდა და რიონში ჩავარდა. ბავშვის გვამი ბორანის მახლობლათ ამოიღეს.

✦ როგორც ბათომიდან გვწერენ, 26 აგვისტოს იქ გაუტეხიათ ქალაქის გამგეობის კასსა და 15 ათასი მანათი წაუღიათ ბოროტმოქმედთა აღმოსაჩენათ ფიცხელი ზომებია მიღებული.

✦ 2 სეკტემბერს ქუთ. საოლქო სასამართლოს დარბაზში, თფილისის სამოსამართლო პალატა გაარჩევს ალექსი ახაბიშვილის, ბიქტორ კოსტავას, ივლიანე ქიქაბერიძის, რაჟდენ ოდიშარიას, ჩარკვიანის, გურჩიანის, პაკელიანისა და სხვების საქმეებს.

✦ გუშინ, 30 აგვისტოს რეალურ სასწავლებლის ეზოში კარბოლის სიმჟავე დალია ამავე სასწავლებლის მეოთხე კლესის მოწაფე მირიანაშვილმა, რომელიც იქვე გადაიცვალა. თვითმკვლელობის მიზეზი იმავე კლასში დარჩენა ყოფილა.

✦ ქ. გორში უკვე შესდგა განსაკუთრებული კომიტეტი რომლებმაც თვალყური უნდა ადევნონ, ომში გაწვეულთა ოჯახებს.

✦ როგორც დ. ცაგერიდან გვწერენ, ამ ომიანობის გამო ჩარჩ-მოვაჭრეებმა თავი ძლიერ აიშვეს, ყოველივე სანოვაგეს ორ-კეც ფასათ ჰყიდიან და ისედაც გალატაკებულ ხალხს სულსა ჰხდიანო.

✦ 29 აგვისტოს ღამით, პარმენ ბალანჩივაძესა და მედუქნე მიხეილ თუთბერიძეს ჩხუბი მოუვიდათ. თუთბერიძემ ბალანჩივაძე ხმლით ხელში დასჭრა.

ჭრილობა საშიში არ არის.

✦ მომრიგებელ მოსამართლის თანაშემწემ დაუბეჭდავი ხორცის გაყიდვისათვის თითო მანეთით დააჯარიმა ალექსანდრე ჩირაძე და იროდე კუხიანიძე.

✦ ამ წლის პირველი სეკტემბრიდან ქუთაისში იხსნება სამი მესამე ხარისხის სასწავლებელი. პირველს ხსნის ქალთა წრე, მეორეს ნინო ლაფერაშვილისა და მესამეს ნინო ხოჭოლავასი.

✦ 6 სეკტემბერს მომრიგებელ მოსამართლესთან საჯარო ვაჭრობით გაიყიდება ივანე მინდაძის მოძრავი ქონება, რომელიც შეფასებულია 16 მანეთად.

✦ თფილისის ყველა გაზეთები ქუთაისში მეორე დღეს მოდის.

✦ ეპარქიალურ ქალთა სასწავლებელში ხელმეორე და მისაღები გამოცდები უკვე დასრულდა. განყოფილებებში მთხოვნელთა რიცხვი 120 იყო, მიღებულია 45.

# თფილისი.

პროფ. ალ. ხახანაშვილის ანდერძის საქმე, მოსკოვის ოლქის სასამართლოს უკვე განუხილავს და განსვენებულის ქონების აპეკუნად დაუმტკიცებია პოლკოვნიკი ი. თულაშვილი.

— ლ. ტოლსტოის სახელობის სტიპენდიები მეფის მოადგილის თანაშემწე გოფმეისტერმა ნ. ლ. პეტერსონმა ნება დართო, დააარსოს თფ. საბალოსნო სასწავლებელში ქალაქის ღარიბ მცხოვრებთა შვილებისთვის ოთხი სტიპენდია ლ. ნ. ტოლსტოის სახელობაზე, თითო სტიპენდია 150 მან. წელიწადში.

— სტიპენდიები. ქ. შ. წ.-კ. გ. ს. გამგეობის კრება 26 აგვისტოს მოხდა ათის თავისუფალ სტიპენდიის გასანაწილებლად. თხოვნა სულ იყო 147. მთელ სალამოს გამგეობა მთხოვნელთა მდგომარეობის გამორკვევას მოუნდა. სტიპენდიები განაწილებულ იქნება მომავალ სამშაბათს, 2 სექტემბერს.

— ქალთა უმაღლეს კურსებზე მისაღები გამოცდა 1 სექტემბერს დაიწყება. წელს მიიღებენ საბუნების-მეტყველო და ისტორია-სიტყვიერების ფაკულტეტებზეც.

— მოწყალების დათა კურსები. ექიმი ფ. ლ. ფეხნერის თაოსნობით მოკლე ხანში ქალაქის საავათმყოფოს შენობაში მოეწყობა მეოთხე კურსები მოწყალების დათა მოსამზადებლათ.

— სამედიცინო ფაკულტეტის უკანასკნელ კურსის სტუდენტები, რომელთაც შემოდგომაზე სახელმწიფო ეგზამენები უნდა ჰქონოდათ, ყველანი ჯარში გაიწვიეს ექიმებად, წაიყვანეს შემდეგი ქართველები: პ. ვეფხვაძე, კ. კახიანი, ს. იშხნელი, ალექსიძე, წქიმანაური, ს. მიქელაძე, გ. ციციშვილი, მ. იშხნელი, ა. წერეთელი, ე. ზაქარაია, არდიშვილი, ვ. ჩხეიძე, ცაგარეიშვილი, ჭიჭინაძე, ფურცელაძე და ხეჩინიშვილი.

გავრცელებული ხმები, ოდესის უნივერსიტეტში სწავლა არ იქნებაო, ტყული გამოდგა. უნივერსიტეტის გამგეობა ოფიციალურად აცხადებს—ეგზამენები, ლექციების კითხვა და მათზე ჩაწერაც დანიშნულ დროზე დაიწყებაო.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

**სოც. დემ. პლეხანოვი და ომი.**

რუსეთის ცნობილი სოციალ დემოკრატი გ. პლეხანოვი, როცა იგი პარიზში იმყოფებოდა, რუსებთან საუბრის დროს ძლიერ გულმოსული იყო გერმანელებზე და სულით და გულით თანაუგრძნობდა სამთა კავშირს. მას თურმე ძლიერ აწუხებდა საფრანგეთის ასეთი მდგომარეობა. რუსეთის ომს გერმანიასთან, მისი აზრით დიდი ეკონომიური მნიშვნელობა აქვს. რუსეთისა და გერმანიის სავაჭრო ხელშეკრულების ძალით გერმანია რუსეთს წურბელასავით სწოვდა და ასეთი მდგომარეობის გაგრძელება რუსეთის სრულ დამონებას მოასწავებდა გერმანიის მიერო.

ახალგაზდა ემიგრანტებს პლეხანოვი ურჩევდა საფრანგეთსი ჯარში მოხალისეთ ჩაწერას. (რ.)

**გაფრთხილება.**

კოპენჰაგენში აღმოჩენილან ისეთი ბოროტი პირები, რომელნიც სარგებლობენ ამ ომიანობით: ისინი გერმანიაში ჩარჩენილ რუსეთის ქვეშევრდომების ჭირისუფლებს დეპეშებს უგზავნიან, რომლითაც ატყობნებენ ემიგრანტების ნივთიერ უკიდურესობას და თან პირდებიან ფულების გადაცემას, თუ ჭირისუფლები ფულს მათ სახელზე გაგზავნიან. ჭირისუფლები, მართლაც, უგზავნიან ფულებს ნათესავებზე გადასაცემათ და ეს პირები კი ამ ფულებს თვითონვე ისაკუთრებენ. ამის გამო კოპენჰაგენში მყოფი რუსეთის ელჩი ატყობინებს რუსებს, არ დაუჯერონ ასეთ პირების ცნობებს და ფული მათ სახელზე თავის ნათესავებზე გადასაცემათ არ გაუგზავნონ (რ. ს.)

**ომიანობის დროს დატყვევებულთა განთავისუფლება.**

ამ მოკლე დროში გამოცხადდა რუსეთისა და გერმანიის მთავრობის გადაწყვეტილება ომიანობის დროს დატყვევებულ პირების შესახებ. ორივე სახელმწიფოები გაათავისუფლებენ იმ ტყვეებს, რომელნიც 17 წელზე ნაკლები არიან და 45 წელს აღემატებიან. დანარჩენები კი ჩაირიცხებიან სამხედრო ტყვეებათ.

სხვათა შორის სამხედრო ტყვეთ ჩაირიცხა გერმანიაში მყოფი რუსეთის ვიცე-ადმირალი სკრიდლოვი. მას არ აქვს უფლება ომის გათავებამდი სამშობლოში დაბრუნდეს.

იმ პირებს, რომელთაც სახსარი არა აქვთ სამშობლოში დაბრუნებისა, მთავრობა არავითარ დახმარებას არ აღმოუჩენს.

## დაბა-სოფელი.

**საჩხერის ცხოვრება.**

დ. საჩხერე ძველთაგან ნაქები იყო თავისი მშვენიერი ადგილმდებარეობით და სახელოვანი შვილებით; მაგრამ წავიდა ძველი დრო, მისი ადგილი დაიჭირა ახალმა და ყველაფერს ფერი ეცვალა. წინათ თუ აქაურებს სამშობლოს სიყვარული აღფრთოვანებდა და წინ უძღვენ ზემო იმერეთს ლხინსა და ჭირში, ეხლა ეს ქიშპობა—მტრობაზეა შეცვლილი. სიტყვით ყველა მამულიშვილობას ჩემულობს, საქმით კი ამ მამულს ძირს უთხრიან. ყველამ კარგად იცის, რომ სამშობლოს აყვავება მჭიდროთ შეკავშირებულია გლეხობაში განათლებაგათვითცნობიერების შეტანაზე და მათ ეროვნულ თვითგამორკვევაზე; მაგრამ აქ ამის შესახებ ზრუნვით თავს არავინ იტკივებს. ან კი ვის სცხელა ამრიგი საქმეებისთვის? თავადებში გამეფებულია ჩამონაჭრების ყიდვა და ქეიფი, ვაჭრები და ნოქრები თავისუფალ დროს ლაზღანდარობაში ატარებენ, მასწავლებლები ერთიმეორეს კარგად ვერც კი იცნობენ, მათ გულგულებივით ცალ-ცალკე ყოფნა დასჩემდათ; კულტურული საქმეები მინდობილი აქვს ბედის ტრიალს და ძალიან გვიან ეღირსება ეს დაბა აყვავებას, თუ ხალხის მოწინავე ელემენტებმა მცონარე ინტელიგენციის გულში მიყუჩებული ხალხთ-სამსახურის ნაპერწკალი არ გააღვივეს და კულტურულ საქმიანობას დროზე არ მოჰკიდეს ხელი.

ერთადერთი წინგსაცავ-სამკითხველო, რომელიც დიდი ხნიდან არსებობს საჩხერეში, დღეს სიკვდილის კარზეა მიმდგარი. ვერ მოუხერხებიათ საკუთარი შენობის შეძენა და აცილება იმ უწესოებისა, რასაც ყოველდღე ადგილი აქვს სამკითხველოსთვის ნაქირავებ დუქანში.

წარსულ წელში დაადგინა საერთო კრებამ ადგილის შეძენა და საჭირო ფულიც გადასდვა ამ საქმისთვის, მაგრამ გამგეობას ერთი შკაფი და ორიოდე წიგნი უყიდნია. წელს ახალი გამგეობა აირჩიეს, მაგრამ, რომ იტყვიან „ვაის გავეყარე და ვუის შევეყარე“-ო სწორედ ისე დაგვემართა. არც ესენი ფიქრობენ რაიმე განახლების შეტანას სამკითხველოს საქმეებში.

რომ მომავალშიაც არ დაგვემართოს ის უსიამოვნება, რომელსაც ეხლა განვიცდით, საჭიროა დაარსდეს ქ. შ. წ. კ. გ. ს. განყოფილება და სათავეში შრომისმოყვარე მცოდნე პირები იქნენ მოქცეული.

ამ განყოფილების დაარსება მით უფრო მიუცილებელია, რომ თუ აქ წელიწადში ერთ წარმოდგენასაც არ მართავენ, მაშინ ხუთს მაინც დადგამენ და არც ადგილი ექნება იმისთანა ბოროტმოქმედებებს, რომელიც ამ რამდენიმე დღის წინათ ვიღაც ვაჟბატონებმა ჩაიდინეს. წარმოიდგინეთ, სოფლებში ბილეთები დაყიდეს 17 აგვისტოს წარმოდგენა გაიმართებაო და არავითარი ამის მზგავსი არ ყოფილა. გვითხრეს, მომავალ ხუთშაბათს მობრძანდითო და რომ მივედით ვერც გამწესრიგებელი და ვერც წარმოდგენა ვერ ვნახეთ. ამნაირათ დავრჩით მოტყუებული. იმედია ბ. საბაშვილი, განგვიმარტავს, თუ რათ გვაყიდინა ბილეთები, როცა წარმოდგენა არ იყო?

კარგს ინებებს საქალაქო სკოლის გამშვენიერებელი კნეინა ელისაბედ წერეთელი, რომ ითავებდეს წ. კ. საზოგადოების განყოფილების დაარსებას და საჩხერესაც აგემებდეს მაცოცხლებელი კულტურის ტკბილ ნექტარს.

საჭიროა, მასწავლებლებიც ჩაებან საერთო ფერხულში და ხალხის განათლებას სკოლის გარეშეც ხელი შეუწყონ.

**ნარქანი.**

რედაქტორ-გამომცემელი ბ. ჯაიანი.




# დაიბეჭდა და იყიდება

ქ. ოცხელისა და ამხ. წიგნის მაღაზიაში ქუთაისში.

1. დასურათებული **არითმეტიკული კრებული**, შედგ. ქუთაისის სააზნ. შკოლის მასწავლებელთა ჯგუფის მიერ ფ. 7 შაური.
2. „ცხოვრება და მეცნიერება“. სალიტერატურო და სამეცნიერო კრებული, შედგ. ქართ. სტუდენთა და ახალგაზდა მეცნიერთა მიერ ფ. 1 მან.
3. „ეროვნული შემოქმედება“. სახალხო ლექციები არ. ჯ-ძისა ფ. 2 აბაზი.

**იბეჭდება და მალე გამოვა** ახალი რუსული პირველ-დაწყებითი სახელმძღვანელო, მრავლათ დასურათებული, შედგ. ქუთ. სააზნ. გიმნ. მასწავლებელთა ჯგუფის მიერ ყრმათათვის გადმოღებული „ვეფხის ტყაოსანი“. თ.

# შექსპირი ქართულად!

## გამოცემა ივანე მაჩაბლის თარგმანებისა.

**მიიღება ხელის მოწერა ივ. მაჩაბლის მიერ ნათარგმნ**

# შექსპირის

რვა ტრაღედიის გამოცემაზე: (ჰამლეტი, ოტელო, მეფე ლირი, მაკბეტი იულიოკეისარი, ანტონიუს და კლეოპატრა, კორიოლანოს და რიჩარდ მესამე). - გამოცემა იქნება ერთ წიგნად და შეიცავს ათასამდი გვერდს, დიდი ფორმატისას. გამოსცემას დაერთვის ბიოგრაფიები შექსპირისა და ივანე მაჩაბლისა და მათივე სურათები. ფასი ხელის მოწერით: 3 მან. შემდეგ ფასი გადიდებული იქნება. ვისთვისაც ერთად ფასის გადახდა საძნელოა,—მათთვის ხელის მოწერა განაწილებულია სამ ვადად: **პირველ** ₒ შემოსატანი—1 მან. მეორე—პირველ ნოემბერს--1 მ., და მესამე--1 მ. 7 იანვარს 1915 წელს.

წიგნი დარიგდება 1915 წელს თებერვლის განმავლობაში. ხელის მოწერა მიიღება **თფილისში**: ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების წიგნის მაღაზიაში და გამომცემლის საკუთარ ბინაზე (ოლგას ქუჩაზე, 52), და **ქუთაისში** მთავრიშვილისა და ოცხელის წიგნის მაღაზიებში და ისიდორე კვიცარიძის კანტორა „იმერეთ“-ში გამომცემელი **ქნ. ანასტასია ალექს. ასული მაჩაბლისა**

# ახალი უვნებელი საშვალება

## რძე პირისახისათვის „ბეტტი“

**ფარმ. ს. ს. ნადარეიშვილის.**

**არბილებს და ასუფთავებს სახეს: სპობს სრულებით**

ფერმჭამლებს, გადაყავს ნამზეური დაასწორებს პირის ნაოჭებს. ვურჩევ აგრეთვე მამაკაცებს, ვინც პირს ხშირათ იპარსავს და ექერცლებათ სახე. მოითხოვეთ ყველა აფთიაქში და აფთიაქის მაღაზიაში. უმთავრესი საწყობი ქ. თფილისში ლიბიხის აფთიაქი ს. ს. ნადარეიშვილი. განყოფილება ქუთაისში, აფთიაქის საწყობი ლ. კოკოჩევი. ფასი ერთი მანეთი. აფთიაქებსა და აფთიაქის მაღაზიებს სადავათო.

15—5

# თუთხმეტ მაისიდან გაიხსნა

კურსების მადნეული წყლის

# აბანო,

რომელიც იმყოფება გელათის სადგურის მახლობლათ, სადაც პლატფორმაა არჯევანიძის მატარებლების გასაჩერებლათ. პლატფორმიდან ას ორმოცდა ათი საჟენია აბანომდი. ქუთაისიდან მოითხოვეთ ბილეთი არჯევანიძესთან. ბილეთი პლატფორმამდი მესამე კლასის 23 კაპ. და მეორეში 7 შაური ღირს.

ზემოხსენებული **კ უ რ ს ე ბ ი ს ა ბ ა ნ ო** იმყოფება მშვენიერ ბუნებით შემკულ მაღალ ადგილზე, და როგორც ნამდვილ გამოკვლეულია კურნავს მრავალს სხვადასხვა ავათმყოფობას, როგორც მაგ., ქარებს (რევმატიზმის), ტანზე დაყრილ მუწუკებს, ნერვების სისუსტეს, ბავშების საყმაწვილოს. გიმაროი,—სიყვითლეს და ვენერიულ ავათმყოფობას. აგრეთვე რგებს სასმელათ კუჭის ტკივილს. წყალი მიიღება ცივი და თფილიც. არის სუფთა მოწყობილი ვანები, მასთან სუფთა საცხოვრებელი ოთახები და სასმელ-საჭმელი ძრიელ ზომიერ ფასებში.

პატივისცემით **გ. მ. არჯევანიძე.**

# მ უ შ ა ო ბ ს

## ხრესილის მადნეული წყლის

**ძმ. ჟორჟოლაძეების**

# ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ო ა ბ ა ნ ო.

აბანო მდებარეობს მაღლობ ბუნებით შემკულ მთის ჰაერზე და, როგორც ნამდვილ გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასხვაგვარ ავათმყოფობას; **ქარებს** (**რევმატიზმს**) სხვადასხვაგვარ **მუწუკს**, **საყმაწვილოებს**, **ნერვების სისუსტეს**, **ჩაყოლილ ციებას** (**მალარეიას**) **კუჭის ტკივილს**, **ვენერიულ ავათმყოფობას**, **ეგზემას**, **სისივნეს** და სხვა. წყალი მიიღება ცივი და თფილიც. ხრესილში იმყოფება მუდმივი **ექიმი**, სადაც მსურველს შეუძლია მიმართოს დარიგებისათვის, არის სუფთა საკუთარი ვანები, სუფთა ბინა, და სასმელ საჭმელი. ფასები ყოველივეზე ძლიერ ზომიერია. **აბანო** მდებარეობს სადგურ „**სერნია ვოდში**“ **ხრესილში** სტანციაა მატარებლის გასაჩერებლათ. სადგურიდან 150 საჟენია აბანომდი. ქუთაისის სადგურზე მოითხოვეთ ბილეთები სადგურ ხრესილის „სტანცია სერნია ვოდის“.

# ქუთაისში.

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი

**საბუღალტერო კურსები**

# გ. გ. გიგინეიშვილისა

კურსებზე მსმენელები მიიღება ოთხი კლასის მოწმობით ანუ შესაფერი გამოცდის შემდეგ რუსულსა და ანგარიში.

კურსი ათ თვიანია. სწავლის ფული ასი მან. სწავლა კურსებზე იწყება 15 ეკენისთვიდან. თხოვნები მიიღება კურსების კანცელარიაში. (თფილისის ქუჩა).

კურსების გამგე: **გ. გ. გიგინეიშვილი.**

სტამბა „ძმობა“ პუშკინის ქუჩა, სახლი გოკიელოვის.